08 NOIEMBRIE
RUGĂCIUNEA
SF.ARHANGHEL MIHAIL

ლოცვა წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისადმი

წმიდაო დიდო მთავარანგელოსო მიქაელ, მიუწვდომელისა და სამმნათობიერისა სამებისა ანგელოსთა შორის პირველო წინამდგომელო, მფარველო და ზედა მდგომო კაცთა ნათესავისაო, ყოვლად ამპარტავნისა მის თავისა მთიებისა გუნდითურთ მისით ცათა შინა შემმუსვრელო, ბოროტებისა და მზაკვრობისა მისისა ქვეყანასა ზედა მარადის შემარცხვენელო, სიყვარულით მოვილტვით შენდამი და სარწმუნოებით გევედრებით: ექმენ ფარად შეუმუსვრელად, ზღუდედ მტკიცედ წმინდათა ეკლესიათა და მართლმადიდებელსა მამულსა ჩვენსა და დაიცევ იგინი ელვის დამცემელითა მახვილითა შენითა ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან. ექმენ ანგელოს მფარველ და ყოვლად მეცნიერ რჩევის მიმცემელ და თანაშემწე კეთილმორწმუნესა ერსა ჩვენსა, მოჰფინე მას, საყდრისაგან მეუფისა მეუფეთასა, ნათელი და ძალი, მშვიდობა, სიხარული და ნუგეშინისცემა. ექმენ ქრისტეს მოყვარეთა მხედრობათა ჩვენთა წინამძღოლ და მომწყვედელ უძლეველ მებრძოლთა ზედა და დააგვირგვინე იგი მტერთა ზედა დიდებულითა ძლევითა.

ჰოი, მთავარანგელოსო ღვთისაო, ნუ დაგვაგდებ შეწევნისა და საფარველისა შენისა გარეშე მადიდებელთა დღეს წმიდისა სახელისა შენისათა, რამეთუ, აჰა, ესერა, თუმცა

მრავლად შეცოდებულ ვართ, გარნა ნუ ინებებ წარწყმედასა, უსჯულოებათა შინა ჩვენთა, არამედ მოგვაქციე უფლისა მიმართ და მის მიერ განცხოველებულ გვყვენ ჩვენ საქმეთა ზედა კეთილთა. განაცისკროვნე გონება ჩვენი ნათლითა პირისა ღვთისათა, რომელ მარადის ბრწყინავს ელვის სახითა შუბლსა შენსა, რათა შევუძლოთ გულისხმისყოფა, რაი არს ნება ღვთისა ჩვენთვის კეთილი და სრული, და ცნობა ყოვლისა, რაიცა ჯერ არს ყოფად ჩვენდა, და რაიცა შეურაცხი, დატევებად. განამტკიცე მადლითა უფლისათა სუსტი ნება და უძლური წადილი ჩვენი, რათა განმტკიცებულნი სჯულითა უფლისათა დავსცხრეთ ღელვაგვემულნი ქვეყნიერითა ზრუნვითა და გულისთქმითა ხორციელითა მიზიდულნი მსგავსად უგულისხმოთა ყრმათა, მსწრაფლ განქარვებად სოფლისა ამის შვენიერებათა, ვითარცა ხრწნილებისა მიერ ქვეყნიერისა უგუნურებითა დავიწყებულნი საუკუნოსა მის ზეციერისა. ამათ ყოველთა ზედა ითხოვე ჩვენთვის ზეგარდმო სული ჭეშმარიტისა სინანულისა, პირუთვნელი ურვა ღვთისა მიმართ და შემუსვრილება ცოდვათა ჩვენთათვის, რათა ნეშტი რიცხვთა დღეთა ჩვენთანი დროებითის ცხოვრებისა განვლოთ არა ნებისაებრ გრძნობათა ჩვენთა და ვნებათა ჩვენთა დამონებითა, არამედ აღსახოცელად და მოსასპოლველად ბოროტ მოქმედებათა ჩვენთა, ცრემლითა სარწმუნოებისათა და განმწმედელისა მოწყალების მოქმედებითა. ოდეს მოახლოვდეს ჟამი სულისა ჩვენისა განსვლისა და განხსნა თიხიერისა ამის სხეულისა საკვრელთაგან, მაშინ ნუ დაგვაგდებ ჩვენ, ჰოი, წმინდაო დიდო მთავარანგელოსო ღვთისაო, შეუწევნელად

წინააღმდგომთა მათ სულთა ბოროტთა თანა, რომელნი არიან ცისა ქვეშე, განმკითხველნი დამაბრკოლებელად სულთა კაცთასა აღსვლად ზეცათა შინა, რათა შენ მიერ დაცულნი უჭირველად მივიწივნეთ ყოვლად დიდებულთა საყოფელთა მათ სამოთხისათა, სადა არა არს მწუხარება, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი, და ღირს ვიქმნეთ ხილვად ყოვლად ბრწყინვალისა პირისა მის ყოვლად სახიერისა უფლისა და მეუფისა ჩვენისასა შევრდომილნი ქვეშე ფერხთა მისთა ცრემლით, სიხარულითა და ლმობიერებით ღაღადებად, დიდება შენდა, უძვირფასესო მხსნელო ჩვენო, რომელმან ჯერიჩინე მრავლისა მიერ სიყვარულისა შენისა, ჩვენ უღირსთათვის მოვლინებად ანგელოსთა შენთა მსახურად ცხოვნებისა ჩვენისათვის ამინ! [*]

---

[*] ეს დაუჯდომელი რუსულიდან უთარგმნია ბერ ალექსი ბერიძეს XIX საუკუნეში.

A
Ω